2023 წ.

ოპერატიული ინფორმაცია
2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-ივნისი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2023 წლის 26 ივლისისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ივლისი, 2023 წ.

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2023 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება **10,714.1** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,914.2 მლნ ლარი) 48.9%-ს და 6 თვის გეგმის[1] (10,093.2 მლნ ლარი) 106.2%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,590.5 მლნ ლარით (17.4%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

გადასახდელების შესრულება **9,958.3** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,880.1 მლნ ლარი) 45.5%-ს და 6 თვის გეგმის (10,102.0 მლნ ლარი) 98.6%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვარ-ივნისის მაჩვენებელს 1,183.2 მლნ ლარით (13.5%-ით) აჭარბებს.

2014–2023 წწ.შემოსულობებისა და გადასახდელების 6 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



შესაბამისად, იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (დაგროვება) **755.7** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი, ხოლო 2023 წლის პირველი ივლისისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 2,003.2 მლნ ლარის ოდენობით.

2014–2023 წწ. 6 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)



რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** 6 თვის გეგმის მიმართ შესრულების მაღალი მაჩვენებელი აქვს ვალდებულებების ზრდის კომპონენტს (112.3%) - საგარეო წყაროდან საინვესტიციო კრედიტების გადაჭარბებით მიღების გავლენით, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (105.5%) და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტი (107.7%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (83.8%).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები კარგი შესრულებით გამოირჩევა (6 თვის გეგმის შესაბამისად, 97.6% და 106.0%), შესრულების მაღალი მაჩვენებელი აქვს ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტს - 6 თვის გეგმის 132.6%, ვალდებულებების კლების კომპონენტი კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (89.3%).

დასახელება	2023 წლის გეგმა	6 თვის გეგმა	6 თვის შესრულება	6 თვე / 6 თვის გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	6 თვის გეგმა	6 თვის შესრულება	6 თვე / 6 თვის გეგმა
შემოსულობები	**21,914.2**	**10,093.2**	**10,714.1**	**106.2%**	**გადასახდელები**	**21,880.1**	**10,102.0**	**9,958.3**	**98.6%**
შემოსავლები	17,619.9	8,618.5	9,090.0	**105.5%**	ხარჯები	16,335.2	8,042.5	7,848.9	**97.6%**
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	86.0	72.1	**83.8%**	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	1,383.1	1,465.8	**106.0%**
ფინანსური აქტივების კლება	450.0	158.5	170.8	**107.7%**	ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	91.9	121.9	**132.6%**
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	1,230.2	1,381.2	**112.3%**	ვალდებულებების კლება	1,218.5	584.4	521.8	**89.3%**

[1] 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ივნისის №220 ბრძანება)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2023 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **1,241.1** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **(-152.6)** მლნ ლარი.



შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარ-ივნისში მიღებული შემოსავლების 88.4% და მთლიანი შემოსულობების 75.0% მოდის. კერძოდ, 6 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 8,036.7 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 102.6%-ს და წლიური გეგმის 49.3%-ს შეადგენს, ყველა საგადასახადო შემოსავალი (გარდა სხვა გადასახადებისა, რომელიც -111.0 მლნ ლარს შეადგენს) 6 თვის გეგმის მიმართ მობილიზების მაღალი დონით ხასიათდება და 101.6% - 129.7%-ის ფარგლებში მერყეობს. განსაკუთრებით გამოირჩევა საშემოსავლო გადასახადი, აქციზი და დღგ, რომლებიც მნიშვნელოვნად აჭარბებს შესაბამის საგეგმო მაჩვენებლებს (შესაბამისად, 202.8 მლნ ლარით, 161.6 მლნ ლარით და 111.0 მლნ ლარით). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 1,268.0 მლნ ლარით (18.7%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად 23.0%-იანი და 17.2%-იანი მატების გავლენით.



გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარ-ივნისში შეადგინა 7,848.9 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 97.6% და წლიური გეგმის 48.0%. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, 6 თვის გეგმასთან მიმართებით, შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს სოციალური უზრუნველყოფის მუხლით ხარჯებს (102.2%), კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სხვა ხარჯებისა (97.0%) და სუბსიდიების (96.3%) მუხლები, ხოლო დანარჩენი სახის ხარჯები შედარებით დაბალი შესრულების დონით ხასიათდება და 92.6% – 94.4%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 844.5 მლნ ლარით (12.1%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის (228.6 მლნ ლარით), აგრეთვე, პროცენტისა (181.0 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (164.9 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 6 თვის შესრულება	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა*	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 6 თვის შესრულება / 2022 წლის 6 თვის შესრულება		2023 წლის 6 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	**9,379.6**	**9,123.6**	**21,914.2**	**10,093.2**	**10,714.1**	**620.9**	**106.2%**	**1,590.5**	**17.4%**	**48.9%**
შემოსავლები	**5,692.3**	**7,678.6**	**17,619.9**	**8,618.5**	**9,090.0**	**471.5**	**105.5%**	**1,411.4**	**18.4%**	**51.6%**
გადასახადები	5,004.8	6,768.7	16,290.4	7,835.9	8,036.7	200.8	102.6%	1,268.0	18.7%	49.3%
საშემოსავლო გადასახადი	1,564.1	2,259.2	5,140.0	2,575.0	2,777.8	202.8	107.9%	518.7	23.0%	54.0%
მოგების გადასახადი	556.7	1,138.9	2,000.0	1,095.0	1,112.9	17.9	101.6%	-26.0	-2.3%	55.6%
დღგ	2,176.0	2,749.1	6,670.4	3,109.9	3,220.9	111.0	103.6%	471.9	17.2%	48.3%
აქციზი	754.3	774.6	2,100.0	803.0	964.6	161.6	120.1%	190.0	24.5%	45.9%
იმპორტის გადასახადი	39.2	52.0	130.0	55.0	71.4	16.4	129.7%	19.3	37.1%	54.9%
სხვა გადასახადები	-85.4	-205.1	250.0	198.0	-111.0	-309.0	-56.0%	94.1	-45.9%	-44.4%
გრანტები	248.6	227.3	279.6	122.3	176.9	54.6	144.6%	-50.4	-22.2%	63.3%
სხვა შემოსავლები	438.9	682.5	1,050.0	660.3	876.3	216.0	132.7%	193.8	28.4%	83.5%
არაფინანსური აქტივების კლება	**95.4**	**131.7**	**200.0**	**86.0**	**72.1**	**-13.9**	**83.8%**	**-59.6**	**-45.3%**	**36.1%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**60.8**	**88.1**	**450.0**	**158.5**	**170.8**	**12.3**	**107.7%**	**82.7**	**93.9%**	**38.0%**
ვალდებულებების ზრდა	**3,531.1**	**1,225.2**	**3,644.3**	**1,230.2**	**1,381.2**	**151.0**	**112.3%**	**156.0**	**12.7%**	**37.9%**
საგარეო	3,894.9	793.5	2,244.3	530.2	687.6	157.4	129.7%	-105.9	-13.3%	30.6%
საშინაო	-363.8	431.6	1,400.0	700.0	693.6	-6.4	99.1%	262.0	60.7%	49.5%
გადასახდელები	**10,044.9**	**8,775.2**	**21,880.1**	**10,102.0**	**9,958.3**	**-143.6**	**98.6%**	**1,183.2**	**13.5%**	**45.5%**
ხარჯები	**6,534.2**	**7,004.4**	**16,335.2**	**8,042.5**	**7,848.9**	**-193.7**	**97.6%**	**844.5**	**12.1%**	**48.0%**
შრომის ანაზღაურება	802.1	865.7	2,236.7	1,112.1	1,030.6	-81.4	92.7%	164.9	19.0%	46.1%
საქონელი და მომსახურება	758.4	877.2	2,025.5	1,045.3	987.2	-58.1	94.4%	110.0	12.5%	48.7%
პროცენტი	418.3	352.2	1,201.0	564.6	533.2	-31.4	94.4%	181.0	51.4%	44.4%
სუბსიდიები	333.9	330.8	927.6	440.7	424.3	-16.5	96.3%	93.4	28.2%	45.7%
გრანტები	289.7	392.7	1,275.8	584.6	541.5	-43.1	92.6%	148.8	37.9%	42.4%
სოციალური უზრუნველყოფა	2,935.7	3,021.7	6,447.9	3,179.7	3,250.3	70.6	102.2%	228.6	7.6%	50.4%
სხვა ხარჯები	996.0	1,164.1	2,220.7	1,115.5	1,081.8	-33.7	97.0%	-82.2	-7.1%	48.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,067.3**	**1,179.9**	**3,881.3**	**1,383.1**	**1,465.8**	**82.7**	**106.0%**	**285.9**	**24.2%**	**37.8%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**204.0**	**87.5**	**445.1**	**91.9**	**121.9**	**30.0**	**132.6%**	**34.3**	**39.2%**	**27.4%**
ვალდებულებების კლება	**2,239.4**	**503.3**	**1,218.5**	**584.4**	**521.8**	**-62.7**	**89.3%**	**18.4**	**3.7%**	**42.8%**
საგარეო	2,195.8	478.5	1,175.6	559.5	497.1	-62.4	88.9%	18.7	3.9%	42.3%
საშინაო	43.7	24.9	42.9	24.9	24.6	-0.3	98.9%	-0.2	-0.9%	57.4%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / – გამოყენება)	**-665.4**	**348.4**	**34.1**	**-8.8**	**755.7**	**721.6**		**407.3**		

* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ივნისის №220 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 6 თვის შესრულება	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 6 თვის შესრულება / 2022 წლის 6 თვის შესრულება		2023 წლის 6 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსავლები	**5,692.3**	**7,678.6**	**17,619.9**	**8,618.5**	**9,090.0**	**471.5**	**105.5%**	**1,411.4**	**18.4%**	**51.6%**
გადასახადები	5,004.8	6,768.7	16,290.4	7,835.9	8,036.7	200.8	102.6%	1,268.0	18.7%	49.3%
გრანტები	248.6	227.3	279.6	122.3	176.9	54.6	144.6%	-50.4	-22.2%	63.3%
სხვა შემოსავლები	438.9	682.5	1,050.0	660.3	876.3	216.0	132.7%	193.8	28.4%	83.5%
ხარჯები	**6,534.2**	**7,004.4**	**16,335.2**	**8,042.5**	**7,848.9**	**-193.7**	**97.6%**	**844.5**	**12.1%**	**48.0%**
შრომის ანაზღაურება	802.1	865.7	2,236.7	1,112.1	1,030.6	-81.4	92.7%	164.9	19.0%	46.1%
საქონელი და მომსახურება	758.4	877.2	2,025.5	1,045.3	987.2	-58.1	94.4%	110.0	12.5%	48.7%
პროცენტი	418.3	352.2	1,201.0	564.6	533.2	-31.4	94.4%	181.0	51.4%	44.4%
სუბსიდიები	333.9	330.8	927.6	440.7	424.3	-16.5	96.3%	93.4	28.2%	45.7%
გრანტები	289.7	392.7	1,275.8	584.6	541.5	-43.1	92.6%	148.8	37.9%	42.4%
სოციალური უზრუნველყოფა	2,935.7	3,021.7	6,447.9	3,179.7	3,250.3	70.6	102.2%	228.6	7.6%	50.4%
სხვა ხარჯები	996.0	1,164.1	2,220.7	1,115.5	1,081.8	-33.7	97.0%	-82.2	-7.1%	48.7%
საოპერაციო სალდო	**-841.9**	**674.2**	**1,284.7**	**576.0**	**1,241.1**	**665.1**	**215.5%**	**566.9**	**84.1%**	**96.6%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**971.9**	**1,048.2**	**3,681.3**	**1,297.1**	**1,393.7**	**96.6**	**107.4%**	**345.5**	**33.0%**	**37.9%**
ზრდა	1,067.3	1,179.9	3,881.3	1,383.1	1,465.8	82.7	106.0%	285.9	24.2%	37.8%
კლება	95.4	131.7	200.0	86.0	72.1	-13.9	83.8%	-59.6	-45.3%	36.1%
მთლიანი სალდო	**-1,813.8**	**-374.0**	**-2,396.6**	**-721.1**	**-152.6**	**568.5**	**21.2%**	**221.4**	**-59.2%**	**6.4%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-522.1**	**347.9**	**29.2**	**-75.4**	**706.8**	**782.2**	**-937.7%**	**359.0**	**103.2%**	**2420.4%**
ზრდა	**204.0**	**435.9**	**479.2**	**91.9**	**877.6**	**785.7**	**955.1%**	**441.7**	**101.3%**	**183.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	348.4	34.1	0.0	755.7	755.7		407.3	116.9%	2216.1%
სესხები	204.0	87.5	445.1	91.9	120.8	28.9	131.4%	33.2	38.0%	27.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	1.1		1.1		
კლება	**726.1**	**88.1**	**450.0**	**167.3**	**170.8**	**3.5**	**102.1%**	**82.7**	**93.9%**	**38.0%**
ვალუტა და დეპოზიტები	665.4	0.0	0.0	8.8	0.0	-8.8	0.0%	0.0		
სესხები	60.6	87.2	450.0	158.5	169.3	10.8	106.8%	82.0	94.1%	37.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.2	0.9	0.0	0.0	1.5	1.5		0.7	78.7%	
ვალდებულებების ცვლილება	**1,291.7**	**721.8**	**2,425.8**	**645.8**	**859.4**	**213.7**	**133.1%**	**137.6**	**19.1%**	**35.4%**
ზრდა	**3,531.1**	**1,225.2**	**3,644.3**	**1,230.2**	**1,381.2**	**151.0**	**112.3%**	**156.0**	**12.7%**	**37.9%**
საშინაო	-363.8	431.6	1,400.0	700.0	693.6	-6.4	99.1%	262.0	60.7%	49.5%
საგარეო	3,894.9	793.5	2,244.3	530.2	687.6	157.4	129.7%	-105.9	-13.3%	30.6%
კლება	**2,239.4**	**503.3**	**1,218.5**	**584.4**	**521.8**	**-62.7**	**89.3%**	**18.4**	**3.7%**	**42.8%**
საშინაო	43.7	24.9	42.9	24.9	24.6	-0.3	98.9%	-0.2	-0.9%	57.4%
საგარეო	2,195.8	478.5	1,175.6	559.5	497.1	-62.4	88.9%	18.7	3.9%	42.3%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		**0.0**		